



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



# PRESS RELEASE

**დაუყოვნებელი გავრცელებისათვის**

23 მარტი, 2015

საკონტაქტო ინფორმაცია:

თამარ ბაგრატია, პროგრამის საზოგადოებასთან

ურთიერთობის სპეციალისტი

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის  
ეროვნული ასოციაცია

ტელ: 595 56-55-53; E-mail: [tbagrati@nala.ge](mailto:tbagrati@nala.ge)

## ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებისათვის ტრენინგ-პროგრამის VII სესია გაიმართება

საქართველო, ყვარელი – 2015 წლის 23-27 მარტს, ყვარლის იუსტიციის სასწავლო ცენტრში, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროგრამის “საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია” ფარგლებში საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია თვითმმართველობის მოხელეებისათვის ტრენინგ-პროგრამის VII სესიას გამართავს. სესიაზე, მონაწილეებს სიტყვით მიმართავენ და საკუთარ გამოცდილებასა და სამუშაო გემებზე ისაუბრებენ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები.

ტრენინგის პირველი ნახევარი დაეთმობა მუნიციპალიტეტებში ახლად დასაქმებული საკონტაქტო პირების გადამზადებას, ხოლო მეორე ნაწილი მოიცავს გზამკვლევის შემუშავებას, რომელიც დაეხმარება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს თავი გაართვან კლიმატის ცვლილებით გამომწვეულ სირთულეებს, ასევე, ისეთ საკითხებს როგორცაა გარემოს ზეგავლენის შეფასება და სივრცითი დაგეგმვა.

მუნიციპალიტეტებში პროგრამა წარმოადგენს საკვანძო ინიციატივას, რომელიც მიმართულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის დღის წესრიგში გარემოს დაცვითი და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირებაზე. პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილების და სოფლის მეურნეობის საკითხების აქტუალიზაციას და აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე სპეციალური ერთეულების შექმნას, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველობების ფუნქციების განხორციელებას ბუნებრივი რესურსების მართვის, სივრცითი დაგეგმარებისა და მდგრადი განვითარების სფეროში.

პროგრამა ხორციელდება საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ და შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის დიდსულოვანი მხარდაჭერის შედეგად და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ძალისხმევის საფუძველზე

აშშ-ს მთავრობა მხარს უჭერს აღნიშნულ ინიციატივას საქართველოში, როგორც მნიშვნელოვან ძალისხმევას საქართველოს ბუნებრივი რესურსების ეფექტური მენეჯმენტისა და დაცვისათვის.

###

**USAID საქართველოში:** ბოლო 20 წლის განმავლობაში, ამერიკელმა ხალხმა, USAID-ის მეშვეობით, 1.5 მილიარდ დოლარზე მეტი ოდენობის დახმარება გაუწია საქართველოს. USAID-ის პროექტები მიზნად ისახავს დახმარების განწევას საქართველოსათვის თავისუფალი და ძლიერი დემოკრატიის მშენებლობის პროცესში და მოიცავს ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებასა და ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გაუმჯობესებაზე. USAID უწევს ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას 100-ზე მეტ ქვეყანას. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: <http://georgia.usaid.gov>



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

